გაელვება

მოსწავლეები ამოიცნობენ სიტყვის ბარათებზე წამიერად დანახულ სიტყვებს.



კლასი: I-II

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილები, ჯგუფები.

რესურსი: სიტყვის ბარათები.

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს ძალიან სწრაფად, წამიერად აჩვენებს სიტყვის ბარათს. მოსწავლეებმა უნდა წარმოთქვან ის სიტყვა, რომელიც დაინახეს. შესაძლებელია პასუხების გაცემა როგორც დასწრებით, ასევე მასწავლებლის მითითებით.
- მასწავლებელი ართულებს ამოცანას ჯერ ორი, შემდეგ სამი ბარათის ერთდროულად ჩვენებით.

შენიშვნა: სასურველია მასწავლებელმა ცვალოს ბარათების ჩვენების სიჩქარე ბავშვების შესაძლებლობების მიხედვით. საჭიროებისამებრ, მასწავლებელი სხვადასხვა ბავშვს სხვადასხვა სიჩქარით აჩვენებს ბარათებს.